

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N10

ქ. თელავი

16.09.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: ზურაბ ლილუაშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გივი ლაფაური; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ქართლელიშვილი; გივი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; იმედა კველიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი - ტარიელ გალახვარიძე; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლია ფარსადანიშვილი; საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - ნინო ასანაშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნიკოლოზ ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ფიქრია ყუშიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი;

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ. ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილია ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, რაზეც უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. მან წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის ძირითადი მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად, ახალგაზრდული და საგანმანათლებლო მიმართულებით თანხების მობილიზებაში. ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N1574 განკარგულებით „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გამოყოფილი თანხის დაზუსტებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით განისაზღვროს 79098,37 ათასი ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა ბიუჯეტის ცვლილების პროექტით გათვალისწინებულ მთელ რიგ ინფრასტრუქტურულ, ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მიმდინარეობაზე. მათ მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავად უპასუხეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა - ნათია ვაყელიშვილმა და თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - ფიქრია ყუშიტაშვილმა.

კომისია დაეთანხმა, რომ „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

გადაწყვეტეს: კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ზ. ლილუაშვილი